

კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობისა და საიმედოობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები

თანამედროვე პირობებში საქართველოს კომერციული ბანკების მდგრადობისა და საიმედოობის ასპექტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საბანკო სექტორი ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის ნაწილს, ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს. ბანკებისა და ეკონომიკის მდგრადობა – ერთმანეთთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული. ცნობილია, რომ ბანკების ეფექტური განვითარება საინვესტიციო აქტიურობაზე, მთლიანობაში ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად ვლინდება. მეორეს მხრივ, ბანკების ფუნქციონირების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის მდგრადობაზე და განსაკუთრებით მის სამეწარმეო სექტორზე, რამდენადაც კრიზისის და საინვესტიციო აქტიურობის დაცემის პირობებში ბანკების საქმიანობის ძირითადი „სიმძიმის ცენტრი“ სპეკულაციური მაღალრისკიანი ოპერაციების მხარეზე გადაინაცვლებს.

ერთი მსხვილი ბანკის გაკოტრებას მთლიანი საბანკო სისტემის დესტაბილიზაცია და ქვეყნის ეკონომიკისათვის ან მთლიანობაში ქვეყანათა ჯგუფებისათვის სიღრმისეული უარყოფითი ზემოქმედება მოყვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტული ბანკის და მთლიანად საბანკო სისტემის მდგრადობა და საიმედოობა სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული ზედამხედველობის საგანს და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტს წარმოადგენს. ცნობილი მონოგრაფიის, „კომერციული ბანკების“ ავტორები ე. რიდი, რ. კოტლერი, ე. გილი, რ. სმიტი აღნიშნავენ, რომ „კომერციული ბანკების საიმედოობა ყოველთვის იყო აქციონერებისათვის, მეანაბრეებისათვის, კონტროლისა და რეგულირების ორგანოებისათვის განსაკუთრებული ყურადღების საგანი, რადგანაც ბანკების გაკოტრება ეკონომიკაზე უფრო არასასურველ ზემოქმედებას ახდენენ, ვიდრე სხვა ტიპის საწარმოების გაკოტრება. ანაბრის დაკარგვა მრავალრიცხოვან მეანაბრეების დანაზოგებზე და მრავალი ფირმების საბრუნავ

აკაკი გვარუშვიდი –
სტუ-ს პროფესორი
ღვით ცაავა –
სტუ-ს დოქტორანტი

კაპიტალზე უარყოფითად ზემოქმედებს. ბანკების ზარალი მათდამი ნდობას ამცირებს, აღნიშნული კი ეკონომიკის სხვა სექტორებშიც ხდება საგრძნობი“¹.

ცნობილია, რომ ბანკები “ლიკვიდურობის ცენტრებს” წარმოადგენენ. ბანკები აკმაყოფილებენ საკუთარი კლიენტების მოთხოვნილებებს დამატებით ფულად სახსრებში და კაპიტალში. კლიენტები მიდიან ბანკში, რადგანაც აქვთ იმედი, რომ სწორედ მასში, როგორც ლიკვიდურობის ცენტრში, ისინი მიიღებენ ფულად სახსრებს, რომელიც საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის არის საჭირო. აღნიშნული ცენტრის გაკოტრებას საწარმოს ლიკვიდურობის პრობლემების გამოწვევა და ფინანსურ კრახამდე მიყვანა შეუძლია.

ბანკები ასევე ფინანსური მომსახურების ცენტრსაც წარმოადგენენ. აღნიშნული ნიშნავს, რომ ბანკები ასრულებენ მნიშვნელოვან სამუშაოს კაპიტალის გადანაწილებასთან, ქონების და ფულადი სახსრების მართვასთან მიმართებაში, მიაწვდიან საკონსულტაციო და სხვა მრავალრიცხოვან მომსახურებებს. ბანკების საქმიანი აქტიურობის შემცირებას უეჭველად მიყვარათ საბანკო პროდუქტის შემცირებისაკენ, რაც ამცირებს მეწარმეების შესაძლებლობებს მატერიალური კეთილდღეობების წარმოებასთან მიმართებაში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოება, რომელიც განვითარებისკენ, საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისაკენ მიისწრაფვის, უეჭველად აქცევს ყურადღებას საბანკო სექტორის განვითარებას, საკრედიტო დაწესებულებების საიმედოობას და ზოგად მდგრადობას.

¹ Рид Э., Коттлер Р., Гилл Э., Смит Р. – Коммерческие банки. – Москва: Космополис, 1991. – с.190.

კომერციული ბანკის საიმედოობისა და მდგრადობაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა განვმარტოთ ტერმინების მნიშვნელობაც. ტერმინი საიმედოს ინტერპრეტირება შეიძლება სხვადასხვა სახით, მათ შორის: 1) ნდობის აღმკვეთი; 2) მტკიცე, რომელიც ძნელად ექვემდებარება ნგრევას, გაფუჭებას; 3) კარგად მომუშავე, ძლიერი; 4) მუდმივმოქმედი, შეუწყრებელი, გათვალისწინებული ხანგრძლივ ვადაზე, არა დროებითი; 5) მდგრადი, მყარად მდგარი, არა მერყევი.

ყველაზე ხშირად ტერმინი მდგრადობა გამოიყენება როგორც რთული დინამიური სისტემების მახასიათებელი, რომელზეც ფაქტორების დიდი რაოდენობის ზემოქმედება ხორციელდება. რამდენადაც ბანკი ასევე წარმოადგენს რთულ დინამიურ სისტემას, რომელიც საბაზრო გარემოს ცვალებად პირობებში ფუნქციონირებს, იგი სისტემური მიდგომის თვალსაზრისიდან გამომდინარე, უნდა იქნას განხილული. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა ასეთი კომპლექსური სისტემისადმი არის მისი საიმედოობა, ანუ შიდა და საგარეო ფაქტორების ზემოქმედების პირობებში მდგრადი წონასწორობის მდგომარეობის უზრუნველყოფა.²

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ბანკის საიმედოობის აღქმა შეიძლება სხვადასხვა პოზიციებიდან ერთნაირი არ იყოს. საიმედო ბანკის ცნება ბანკის კლიენტების, (მისი აქციონერებისა და თანამშრომლების) პოზიციიდან შესაძლოა განსხვავებული იყოს.

ბანკის კლიენტების, მისი მეანაბრეების პოზიციიდან საიმედო ბანკი უფრო ასოცირდება სიმშვიდესთან, რომ მათ წინაშე ბანკი ვალდებულია დროულად ასრულებს.

ბანკის აქციონერები, საბანკო საქმიანობაში საკუთარი კაპიტალის ინვესტირებით, მოელოდნენ, რომ მათი ბანკი კაპიტალის დაბანდობიდან შემოსავლის მომტანი გახდეს, რომ სწორედ აქ იქნება მიღებული მოგება, რომელიც ეკონომიკის სხვა სექტორებში დაბანდებების ტოლი მაინც იქნება. მთლიანობაში ისინი საკუთარ კაპიტალზე საკმარისი მოგების მიღებაში არიან დაინტერესებულები, რაც არის ინვესტიციის საიმედოობის საზომი.

სხვა მოსაზრება გააჩნიათ ბანკის თანამშრომლებს, რომლებიც მოცემულ საკრედიტო დაწესებულებაში გრძელვადიან მუშაოზე და მაღალი ანაზღაურების მიღებაში არიან დაინტერესებულები. საიმედო ბანკი, მათი თვალ-

საზრისით, არის ისეთი ბანკი, რომელიც მათ საშუალებას აძლევს თავი იგრძნონ დაცულად და მიიღონ მაღალი ანაზღაურება.

საიმედო ბანკი საზოგადოებრივი პოზიციებიდან უზრუნველყოფს ინტერესების ბალანსის შენარჩუნებას როგორც ბანკების, ასევე მათი კლიენტებისა. საიმედო ბანკი – არის ბანკი, რომელსაც ენდობიან კლიენტები, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტებისა და ინვესტორების ინტერესების დაცვას, ხელს უწყობს როგორც მეანაბრეების, ასევე ბიზნესის ინტერესების რეალიზაციას, ხელმძღვანელობს პარტნიორული ურთიერთსასარგებლოდ მოქმედების პრინციპებით.

„მდგრადი ბანკი“, ჩვენი მოსაზრებით, არის უფრო ფუნდამენტალური ცნება. საიმედოობა მდგრადობაზეა დამოკიდებული. „ნამდვილი იმედის“ მოცემა მხოლოდ ძლიერ, მდგრად, ურყვე ბანკს შეუძლია. თუ კი ბანკი საიმედოა – იგი ყოველთვის მდგრადი არ არის, ხოლო მდგრადი ბანკი – ყოველთვის საიმედო ბანკია.

მნიშვნელოვანია ის კრიტერიუმები განისაზღვროს, რომელთა მიხედვით ბანკს შეიძლება საიმედო და მდგრად თანრიგს მიეკუთვნოს. მათ განხილვას საიმედო ბანკებიდან დავიწყებთ. აქ შეიძლება სულ მცირე ორი ცნება გამოიყოს: თეორიული საიმედოობა და ნამდვილი, რეალური საიმედოობა. თეორიულად ყველა ბანკი წარმოადგენს საიმედოს (დეიურე), რამდენადაც მათ ეროვნული ბანკის ფილტრი გაიარეს, გააჩნიათ ლიცენზია, აქედან გამომდინარე, ისინი ეკონომიკური, საკანონმდებლო და პროფესიული ნორმების მიხედვით ბანკის ტიტულს შეესაბამებიან.

როგორც კლიენტების კრედიტუნარიანობის განსაზღვრა, ასევე კლიენტთა წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების სურვილის და შესაძლებლობის მქონე ბანკის განსაზღვრა მეტად რთულია. თუ კი კლიენტის კრედიტუნარიანობის შემთხვევაში ბანკი განსაზღვრულ რისკს იღებს თავის თავზე, ასევე ბანკის საიმედოობის განსაზღვრის შემთხვევაშიც კლიენტიც შესაბამის რისკს იღებს თავის თავზე. ამ უკანასკნელის განსაზღვრა რიგი მაჩვენებლების ბაზაზე არის შესაძლებელი. ჩვენი აზრით, ბანკის საიმედოობა გარკვეული პარამეტრებით განისაზღვრება. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ბანკის მუშაობის ხანგრძლივობა ბაზარზე – რამდენად მეტია ვადა, რომლის განმაჯობაში ესა თუ ის ბანკი მუშაობს ბაზარზე, იმდენად მეტია ალბათობა იმისა, რომ მოცემული ბანკი შეიძლება საიმედო კატეგორიას იქნას მიკუთვნებული, რადგან საქმიანი რისკიც ნაკლებია;

² Новикова В.В. – Методологические основы формирования рейтинга надежности коммерческих банков//Автореферат диссертации. - Москва, 1996. – с.8.

• საქმიანი ისტორია – თუ კი ბანკი შედარებით დიდი ხანია მუშაობს, მაგრამ ამასთან სერიოზული ფინანსური სირთულეებიც, მაშინ ასეთი ბანკი არ შეიძლება საკმარისად საიმედოდ ჩაითვალოს. საქმიანი ისტორია წარმოადგენს ინდიკატორს რისკის შეფასებისათვის;

• ბანკის იმიჯი – ბანკის რეპუტაცია საქმიან და საზოგადოებრივ წრეებში, ასევე შეიძლება კომერციული ბანკის საიმედოობის ხარისხის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში იქნას მიღებული. იმიჯისა და საიმედოობის საზომად შესაძლებელია გამოვიყენოთ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების რეიტინგი და მათი შეფასებაც;

• ბანკის მენეჯმენტის და მსხვილი აქციონერების საქმიანი ისტორია – მენეჯმენტის გამოცდილება, პროფესიონალიზმი და საქმიანი რეპუტაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბანკის საიმედოობას, ისევე როგორც ბანკის აქციონერთა ვინაობა, მათი საქმიანი რეპუტაცია და ფინანსური სიძლიერე.

უფრო დეტალურად განვიხილოთ ბანკის მდგრადობის ცნება და შინაარსი. ბანკის მდგრადობა მისი მდგრადი წონასწორობის ან სტაბილურობის მნიშვნელობაში უნდა იქნას განხილული.

სხვა ეკონომიკური სუბიექტების მდგრადობის პრობლემებისაგან განსხვავებით, ბანკების მდგრადობის საკუთარი განმასხვავებელი თავისებურება გააჩნია, რომლებიც ვლინდებიან ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროებში, აქციების სტრუქტურაში, საქმიანობის შედეგების შეფასებაში.

ამრიგად, ბანკის მდგრადობა მისი სიმტკიცის, „სიძლიერის“ უზრუნველყოფის მახასიათებელია. რა თქმა უნდა, მდგრადობის ხარისხი შეიძლება იყოს სხვადასხვა და შემთხვევითი არაა, რომ სწორედ იგი არის აღებული ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ბანკების კლასიფიკაციის საფუძვლად.

ბანკის მდგრადობა შეიძლება ბანკისა და მისი ოპერაციების თანაბარზომიერი განვითარების პოზიციიდანაც იქნას განსაზღვრული. აქ ასევე არის შესაძლებელი გამოიყოს ბანკების სამი ნაირსახეობა: სწრაფად განვითარებადები, თანაბრად განვითარებადები და არათანაბრად განვითარებადები მზარდი ბანკები. არამდგრად ბანკებად შეიძლება ჩაითვალოს მათგან ისინი, სადაც ბანკის აქტივების ზრდა მომგებიანობის მოცულობის შესამჩნევად ხანგრძლივ დაცემასთან არის შეხამებული. ასეთ ბანკებთან მიმართებაში დამატებითი დაკვირვება და ანალიზი არის აუცილებელი.

ბანკის მდგრადობა ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე პროცესების და ტენდენციების ფონზე უნდა შეფასდეს. სტაბილურად შეიძლება ჩაითვალოს ის ბანკები, რომლებიც რამდენადმე ამცირებენ საკუთარ საქმიან აქტიურობას საერთო საქმიანი აქტიურობის შემცირებასთან შესაბამისობაში. როგორც ცნობილია, ბანკები და მათი ოპერაციები საერთო სამეურნეო გარიგებებისა და მომსახურებების განვითარების შესაბამისად ვითარდებიან. თუ სამრეწველო და სავაჭრო ოპერაციების მოცულობა მცირდება, აღნიშნული უეჭველად საკრედიტო დაწესებულებებში ფულადი ნაკადების, დეპოზიტების მოცულობის, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ოპერაციების მოცულობის შემცირებასაც გამოიწვევს. ბანკების ოპერაციების მოცულობის შემცირება მოცემულ სიტუაციაში მათი საქმიანობის წინდახედულობასა და ეფექტურობას შეიძლება მიუთითებდეს და არა ნეგატიურ გამოვლინებას. სხვა საქმეა, როდესაც ბანკები საკუთარ აქტიურობას ამცირებენ საერთო ეკონომიკური ზრდის პირობებში.

მდგრად და საიმედო ბანკების კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ისინიც, რომლებიც საერთო საქმიანი აქტიურობის შემცირებისას საკუთარი საქმიანობის გარკვეული გამოცოცხლების დემონსტრირებას ახდენენ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საჭიროა გარკვეული დამატებითი ანალიზი იმისა, თუ ოპერაციების მოცულობის მიღწეული ზრდა რამდენად ეფექტურად შეიძლება იქნას შეფასებული და ზრდა ხომ არ არის მიღწეული რისკების ღონის ამალგების ხარჯზე.

დამატებითი ინფორმაცია აქ შეიძლება მოგვცეს მეორე პარამეტრმა – ბანკის საქმიანობის განვითარების თავისდროულობამ. მოცემულ შემთხვევაში ბანკის აქტიურობა შეიძლება იყოს თავისდროული (საერთო ეკონომიკური კონიუნქტურის შესაბამისად), დროზე ადრე და დაგვიანებული. ბოლო ორ შემთხვევაში სტაბილურად განვითარებადმა ბანკმა შეიძლება საკუთარი ეფექტურობის შემცირება დაუშვას.

ტრადიციულად საბანკო პრაქტიკაში შეიძლება ბანკების ორი ჯგუფი გამოიყოს: კონსერვატიული პოლიტიკით და აგრესიული პოლიტიკით. მოცემული ჯგუფიდან თითოეულს მდგრადობის უზრუნველყოფისთვის კარგი შანსი გააჩნია. კონსერვატიული პოლიტიკა უფრო ფრთხილია, ნაკლებად რისკიანი; აგრესიული ბანკი მეტად იხრება რისკისაკენ, ახალი ნიშებისა და ბაზრების ათვისებისაკენ.

ბანკის მდგრადობა, ჩვენი მოსაზრებით, მნიშვნელოვანია მისი საზოგადოებრივი სარგე-

ბლიანობის პოზიციიდანაც იქნას განხილული. ბოლო დროს საბანკო ლექსიკონში სულ უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, მომხმარებელზე ორიენტირებული ბანკი. საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ბანკი – არის ისეთი ბანკი, რომელიც რეალურ ეკონომიკურ სექტორს საჭირო

ინვესტიციებით ამარაგებს, მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში, არ უშვებს კლიენტების წინაშე საკუთარი ვალდებულებების დარღვევას და ასევე ზრუნავს კლიენტთა ინტერესების დაცვაზე, მათ ინფორმირებულობაზე. ბანკი ვალდებულია ზრუნავდეს მომხმარებელთა ინტერესებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Роуз Питер С. – Банковский менеджмент/Пер. с англ.. – Москва: Дело, 1997. – 768с.
2. Рид Э., Коттер Р., Гилл Э., Смит Р. – Коммерческие банки/Пер. с англ. Под общ. ред. Усоскина В.М. – Москва: «Космополис», 1991. – 501с.
3. Новикова В.В. – Методологические основы формирования рейтинга надежности коммерческих банков/ Автореферат диссертации. – Москва, 1966.

ОСНОВНЫЕ ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ ФАКТОРЫ ФИНАНСОВОЙ УСТОЙЧИВОСТИ И НАДЕЖНОСТИ КОММЕРЧЕСКИХ БАНКОВ

АКАКИЙ ГВАРУЦИДZE - проф. ГТУ
ДАВИД ЦААВА - докторант ГТУ

Рассмотрены основные факторы определяющие финансовую устойчивость и надежность коммерческого банка, такие как: Пролжительность работы банка на рынке, деловая история, имидж, менеджмент и сделано заключение, что устойчивость банка характеризует обеспеченность его надежности и «мощи». Подчеркнуто, что если банк устойчив – она всегда надежный, а надежный банк – не всегда устойчивый банк.

THE MAJOR DEFINING FACTORS OF FINANCIAL STABILITY AND RELIABILITY OF COMMERCIAL BANKS

AKAKI GVRUTSIDZE - prof. of GTU
DAVID TSAAVA - PhD of GTU

Examined the key factors determining the financial stability and reliability of a commercial bank, such as working experience of bank in the market, business history, business reputation, management's professionalism and reputation. Emphasizes that if the bank is sustainable - it is always reliable, but reliable bank – is not always a sustainable bank.